ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N55

ქ.თბილისი

17 მარტი, 2020 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ერეკლე კუხიანიძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ანა ლაშხი
თინათინ ნიბლოშვილი
ნინო რუხაძე
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ილია ჯიშკარიანი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაფიქსირებულია ე.წ. „ახალი კორონა ვირუსი“ – „COVID-19“, რომლის გავრცელების საშიშროების წინაშე დგას საქართველოც. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული საკითხების გადასაწყვეტად, საჭიროა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დასაშვები გახდეს საკრებულოს სხდომების დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით წარმართვა. აქვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება, რა თქმა უნდა, არ მიიღებს სისტემატურ ხასიათს, ის იმოქმედებს მხოლოდ ობიექტური გარემოებების დადგომის ან არსებობის შემთხვევაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე